

მაია ბაქრაძე

ქ. თბილისის #181 საჯარო სკოლა

სათაური: ტყუილი თუ მართალი?

კლასი: IV კლასი

საგანი: ქართული ენა

სასწავლო მიზნები: მოსწავლემ შეძლოს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება, დასკვნის გამოტანა, საკუთარი აზრის გამოთქმა მიღებულ ინფორმაციაზე.

მედიაწიგნიერების მიზანი: სინამდვილის რეპრეზენტაცია, მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი და შეფასება.

ლექსიკონი:

შვეცია - სახელმწიფო ევროპაში.

ხარაზი - ფეხსაცმლის მკერავი.

რესურსები:

1. „როგორ ატყუებენ და ტყუვდებიან“ ადაპტირებული ტექსტი ა. ლინდგრენის „ბიულერბიუელი ბავშვების“ მიხედვით. IV კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო. ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე.
2. მულტფილმი „ლურჯი მელა“ https://www.youtube.com/watch?v=QW8Ykl_JOwU
3. სქემა - 5 კითხვა;
4. სურათი
5. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს - სქემა

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სურათს და სთხოვს გამოიცნონ ამ სურათის მიხედვით თუ რაზე იქნება დღევანდელი გაკვეთილი.



მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს:

- სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა;
- ტყუილი და ა. შ.

აქტივობა 1

მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტს სახელმძღვანელოში: „როგორ ატყუებენ და ტყუვდებიან“,

კითხვის დროს მონიშნავენ ინფორმაციას, რომელიც მათთვის იქნება მნიშვნელოვანი.

წაკითხული ტექსტის მიხედვით მოსწავლეები ჯგუფებში ავსებენ სქემას „5 კითხვა“.

დანართი - 1

ვინ?	სად?	რას ქნა? რა გააკეთა?	როგორ?	რატომ?

ცხრილის შევსების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე წარმოადგენს ჯგუფის ნამუშევარს.

აქტივობა 2

მოსწავლეები ნახავენ მულტფილმს „ლურჯი მელა“

დანართი - 2

https://www.youtube.com/watch?v=QW8Ykl_JOwU

მულტფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ ამ ორი რესურსის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე.

„მოთხრობას და მულტფილმს აერთიანებს ერთი საერთო თემა - ტყუილი. მოთხრობაში ტყუილის შედეგებს იშვიათად მთავარი გმირები. მასწავლებლის სასჯელი ტყუილისთვის მკაცრი არ არის. მათ მხოლოდ ერთი გაკვეთილი მოუწიათ დარჩენა სკოლაში და ისიც ძალიან მხიარულად გაატარეს.“

მულტფილმში მელა ტყის ბინადრების მოტყუებას ცდილობს, ის, ლურჯად შეღებილი, თავს ტყის მეფედ აცხადებს, თუმცა მისი ტყუილი მალე გამოაშკარავდება, რაც მელას გაძევებით და დამარცხებით მთავრდება.

აქტივობა 3

მასწავლებელი მსჯელობის მიზნით კითხვით მიმართავს მოსწავლეებს:

მასწავლებელი: როგორ ფიქრობთ უნდა ვამბობდეთ თუ არა ტყუილს?

მოსწავლეები: თუ არავის ვავნებთ 1 აპრილს შეიძლება მოვიტყუოთ.

ტყუილის თქმა არ შეიძლება, რადგან შეიძლება მან ცუდი შედეგები გამოიღოს.

მასწავლებელი: ყოველთვის შეიძლება უწყინარი დასასრული ჰქონდეს ტყუილის თქმას, როგორც ბიულერბიუელი ბავშვების შემთხვევაში მოხდა?

მოსწავლეები: ყოველთვის არ ექნება კარგი დასასრული ტყუილს, და თანაც სიმართლე მაინც გაირკვევა.

მასწავლებელი: რატომ არ გაუმართლათ მელას და რატომ დაისაჯა ის თავისი ტყუილისთვის?

მოსწავლეები: მელას იმიტომ არ გაუმართლა, რომ ის შემთხვევით შეიღება ლურჯად გაქცევისას, მან ასე უშველა თავს და შემდეგ ლურჯად შეღებილმა თავი ტყის მეფედ გამოაცხადა. მელამ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სცადა, ცხოველების დაჩაგვრა დაიწყო.

მასწავლებელი: შეიძლება თუ არა სიმართლე დიდხანს დაიმალოს?

მოსწავლეები: სიმართლე დიდხანს არასოდეს იმალება, ის აუცილებლად გამომჟღავნდება ადრე თუ გვიან, როგორც მელას დაემართა.

საშინაო დავალება: დაწერეთ პატარა მოთხრობა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“

დანართი 3



ტყულის მოკლე ფეხები აქვს

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	დიახ	არა
მოსწავლემ გამოყო მთავარი ინფორმაცია ტექსტში		
მოსწავლემ შეძლო ტექსტისა და ფილმის დაკავშირება		
მოსწავლემ ტექსტზე და მულტფილმზე დაყრდნობით შეაჯამა ინფორმაცია და გააკეთა დასკვნა		